საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი

თბილისი, ჭავჭავაძის 39
ტელ: +995 322 95 98 66
NFMTC@NILC.ORG.GE

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOTIATION

39 Chavchavadze str., Tbilisi, Georgia
Tel.: +995 322 95 98 66
NFMTC@NILC.ORG.GE

1-25/9 10.09.2019 წ.

ა(ა)იპ „საქართველო საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი"

რეკომენდაცია უწყვეტი სამედიცინო განათლების მოდულზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი სააპლიკაცო ფორმა **„ქრონიკული დაავადებების მართვა: ახალ მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის"** შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. საკითხი აქტუალურია პირველადი ჯანდაცვის რგოლისათვის, მოიცავს ძირითად არაგადამდები დაავადებებს, მოწოდებულია თანამედროვე, უახლეს ლიტერატურაზე დაფუძნებული რეკომენდაციები. ნათლადაა ჩამოყალიბებული პროგრამის მიზანი და ამოცანები.

სასწავლო პროცესი აღწერილია დეტალურად, გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, არის ინტერაქტიული, რაც უზრუნველყოფს მსმენელის ჩართულობას და მაქსიმალურ პროდუქტიულობას.

პროგრამაში გამოყენებულია უახლესი მტკიცებულებები ქრონიკული დაავადებების მართვის შესახებ, თეზისები ჩამოყალიბებულია ნათლად, წარმოდგენილი სასწავლო მასალა კარგად არის სტრუქტურირებული, შეფასების სისტემა გამართულია.

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი დადებითად აფასებს წარმოდგენილ უწყვეტი პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამას **„ქრონიკული დაავადებების მართვა: ახალ მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის"** რეკომენდაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ „საქართველო საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირის" პრეზიდენტი